500

ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** ორშაბათი, 22 ოქტომბერი **№ 1618**

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1

1901 წლის 1-ლ აგვისტოდან ქალაქ ბუქარეშტში (რუმინიაში) გამოდის ფრანგულ-რუსულ ენაზე საყოველ-კვირაო გაზეთი
„პრავოსლავნი ვასტოკ“
(„მართლ-მადიდებელი აღმოსავლეთი“)
ამ გაზეთში უმთავრესი მონაწილეობა აქვს ნ. ნ. დურნოვოს.
წლიური ფასი გაზეთისა გაგზავნით ერთი თუმანია, ნახევარი წლისა—ხუთი მან.
გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბაროთ: Bucaresti—Roumania. Strada Doamnei, 16. Redaction „L'Orient Orthodoxe“ «Православный Востокъ». (5—რ.—4)

რედაქციისაგან.

გაგახსენებთ ხელის-მომწერთ, გისაც სრულად არ შემოუტანია დაკვეთილ „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ წლიური ფასი — დროით წარმოადგინონ.

ვეფხის-ტყაოსანი
სცენები
შოთა რუსთაველის
პოემიდან, რუსულად შედგენილი რ. ყანგარის-მიერ სურათებით. ფასი 1 მან.
საწყობი—ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში. ისყიდება იქვე და ხიდდეკელის მაღაზიაში. (50—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა
დილით:
ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.
ე. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.
ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.
ს. ა. ვოინო.—ხირურგიული, ხუთშაბათობით და შაბათობით 1—2 საათამდე.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი. თითო №-რი 3 კ. დამატებით — 5 კაპეიკ

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 21 ოქტომბერს, **ხელმწიფე იმპერატორის** ტახტზე აბრძანების დღესასწაულ დღეს, სამხედრო საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, ტფილისის გენერალიტეტი, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უფროსი მოხელენი, თავად-აზნაურობისა და ქალაქის წარმომადგენელნი და დიდ-ძალი საზოგადოება.

დღისით ქალაქი მორთული იყო დროშებით, საღამოს-კი გაჩირაღდნებული.

◆ **მთავრობის განცხადება.** „რუსკი ინვალიდ“-ში დაბეჭდილია: „ავღანისტანის ემირის აბდურრახმანის გარდაცვალების შემდეგ, უცხოელ გაზეთებში დაიწყეს ლაპარაკი, ვითომც ჩვენი სამხედრო მინისტრი მზადებას შესდგომოდეს კასპის იქეთა მხარეს ოლქებში იმ აზრით, რომ ყოველივე მზად იყოს, თუ ვინიცობაა ავღანისტანში არეულობა დაიწყებაო. ყველა ეს მითქმა-მოთქმა საფუძველს მოკლებულია“.

◆ „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, ტფილისის პირველ სავაჟო გიმნაზიის დირექტორი **დ. დ. მარკოვი** თავს ანებებს სამსახურს.

◆ გზათა სამინისტროში უკვე შეუმუშავებიათ პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაძლიერდეს რკინის გზებზე **კანტროლი.** შემუშავებულია ახალი წესები, შეიცვლება ბილეთების ფორმა და, გარდა ამისა, ყოველ მატარებელში იქნება აგენტი, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს კონდუქტორთა მოქმედებას ბილეთების შემოწმებისა და ჩამორთმევის დროს.

◆ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში შემოსული შემოწირულება ლადო იღნიაშვილის სახელობაზე სულ 27 მან. გადაეცა დანიშნულებისამებრ.

პრესსა

რუსეთის რეაქციონერებს მოსვენებას არ აძლევს ის გარემოება, რომ ქალებს უმაღლეს სწავლის შეძენის უფლება მიენიჭა. ისინი ჯერ სცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქალისთვის სრულიად საჭირო არ არის მეცნიერების შესწავლა, მაგრამ რაკი მათ მოსაზრებათ ყური არავინ ათხოვა, რეაქციონერებმა დაიწყეს საზიზღარ ჭორებისა და სიცრუის გავრცელება სტუდენტ-ქალების ყოფა-ქცევის შესახებ... ამ დღეებში ასეთისავე ცილის-წამებით მიუმართავს მოსწავლე ქალებისათვის ცნობილის თავადის მეშჩერსკის გაზეთს „გრაჟდანინ“-ს. როგორც სჩანს, ახლა ტყუილად არ ჩაუვლის ბრწყინვალე თავადს-ცილის-მწამებელს მისი საზიზღრობა. პეტერბურგის საქალებო კურსების პროფესორებმა და დირექტორმა ენერგიულად განაცხადეს პროტესტი მეშჩერსკის წინააღმდეგ. „რუსსკ. ვედომ.“-ის სიტყვით, ხსენებულ პროფესორებს შემდეგი განცხადება გაუგზავნიათ გაზეთებისათვის:

> „პეტერბურგის საქალებო უმაღლესის კურსების პროფესორები და დირექტორი ენერგიულ პროტესტს აცხადებენ დაუმსახურებელ ცილისწამების წინააღმდეგ, რომელსაც ავრცელებს თავ. მეშჩერსკის გაზეთი მოსწავლე ქალების შესახებ („გრაჟდანინ» № 78). ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ სტუდენტ-ქალებს, თვალ-ყურს ვადევნებთ მათ კეთილ-სინიდისიერსა და მეტად რიგიანს მეცადინეობას და მშვენიერს ყოფა-ქცევას და ვარწმუნებთ საზოგადოებას, რომ თავ. მეშჩერსკის ინსინუაცია—საზიზღარი სიცრუე არის.»

ამავე საგნის შესახებ ენერგიულ პროტესტს აცხადებს „როსსია“-ში სენატორი ა. ა. გერკე, რომელიც სხვებსაც იწვევს პროტესტის გამოსაცხადებლად.

მევინე-მევენახეთა კრება

19 ოქტომბრის სხდომაზე მეღვინე-მევენახეებმა, ვიდრე ბ.ბ. პ. ყიფიანისა და ტიმოფეევის მოხსენებების განხილვას შეუდგებოდნენ, მოისმინეს მოხსენებანი ბ-ნ ვ. ი. რცხილაძისა და ბ. ლეონტოვიჩისა. ბ-ნი ვ. რცხილაძე თვის მოხსენებაში შეეხო იმ საკითხს, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის გაუმჯობესობა შეიძლება მაშინ, თუ ჩვენი ქვეყნის მცხოვრებნი შეეჩვევიან საერთო ძალ-ღონით შემოუარონ საქმეს, დაიარსებენ კოოპერაციებს იმ ნაკლულევანებათა ასაცილებლად, რომელნიც აფერხებენ როგორც ვენახის მოვლა-მოშენებას და ღვინის რაციონალურად დაყენებას, აგრეთვე მის გასაღების საქმესაც. ევროპაშიო, განაცხადა მომხსენებელმა, არც ერთი საქმე, განსაკუთრებით ასეთი რთული, როგორც მეღვინეობაა, არ კეთდება უკოოპერაციოდ. იქ მრავლად არის ამხანაგობები, სინდიკატები, ბანკები, საწყობები და, რაღა თქმა უნდა, ასეთ ნაირად დაყენებული საქმე წარმატებაში მიდის.

ასეთი სინდიკატ-ამხანაგობები გერმანიაში ამ ჟამად 13,000-მდე ითვლება, ხოლო საფრანგეთში 2204-მდე.

თუ გვინდა, რომ ჩვენშიაც სასურველ ნიადაგზე დამყარდეს სოფლის მრეწველობა, ჩვენც უნდა ასეთი ამხანაგობანი, ასეთი სინდიკატები შევქნათ. შეერთებული ძალა საშუალებას მოგვცემს არა მარტო გავაუმჯობესოთ წარმოება, არამედ ხელიც შეუწყოთ ნაწარმოების გასაღების გაადვილებას; ხოლო რა ცუდს მდგომარეობაშია ამ ჟამად ღვინით ვაჭრობა, შემდეგ გარემოებიდანაც სჩანს: ამ რამდენიმე ხნის წინად ქ. ომსკიდან ერთმა მოხელემ გაიწერა 10 ვედრა ღვინო ამხანაგობა „კახეთია“-დან. 10 ვედრა ღვინო სულ ღირს 40 მან. ფული და მისი ჩატანა პატრონს ადგილზე დაუჯდა 62 მან. 92 კაპ.

დასასრულ მომხსენებელმა განაცხადა სურვილი—დაარსებულ იქმნეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა მიენდოს კოოპერაციის ტიპის შემუშავება.

ბ. ლეონტოვიჩის მოხსენებაში დაახლოვებით იგივეა გამოთქმული, რაც ბ. რცხილაძის მოხსენებაში. ლეონტოვიჩი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ კავკასიაში 100,000 ვედრა ღვინო 15 მილიონი მანეთისა, მოდის და აქედან 8—9 მილიონისა თითქმის ბაზარზე გააქვთ, აცხადებს, რომ არავითარი ყურადღება არ არის მიქცეული გადაზიდვის საშუალების გაუმჯობესობაზე. მისის მოსაზრებით, უნდა შემოღებულ იქნეს ჩქარ მატარებლებთან ღვინის გადასაზიდი განსაკუთრებული ვაგონები ისე, რომ ფასი გადატანისა ისევე ის დარჩეს, რომელსაც ნელი მატარებლებით გადაზიდვის დროს იხდევინებიან; ეთხოვოს სამეურნეო საზოგადოებას ითავოს შეერთება მევენახეებისა ერთ ამხანაგობად.

ამის შემდეგ შეუდგნენ განხილვას ბ. ყიფიანის და ტიმოფეევის მიერ დაყენებულ წინადადებისას. პირველი წინადადება—ჩვენში ვენახების გაშენების გაუმჯობესობისა და კარგი ღვინის დაყენების შესახებ—კრებამ სასურველად იცნო. დიდი კამათი გამოიწვია მეორე წინადადებამ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა მეღვინეებმა ისეთი გემოს ღვინო უნდა დააყენონ, რომ ნელ-ნელა მიიჩვიონ მხმარებელნი, ბაზრის გემოსა და მოთხოვნილებას მიაქციონ მეტი ყურადღება და ამის და გვარად შეუდგნენ ღვინის დამზადებას და აგრეთვე გაიაფონ ღვინო.

ზოგიერთებმა გამოსთქვეს ის აზრი, რომ სასურველიაო სულ შეიცვალოს კახური ღვინის ტიპი და ევროპიულ გემოზე დავამზადოთ ღვინოვო. ამას წინააღმდეგი გაუხდა უმრავლესობა იმ მოსაზრებით, რომ კახეთის ღვინო უკვე განთქმულია, მას საკმაო დიდი ბაზარი აქვს და თანდათან ამ ბაზარს გაიფართოვებს, თუ ჩვენ უმთავრეს ყურადღებას მივაქცევთ მის რაციონალურად დაყენებასა და გავაუმჯობესებთ ბაზარზე მის გატანის საქმეს. კარგა ხნის კამათის შემდეგ მეორე წინადადება სრულიად შეიცვალა ამ რიგად: სასურველია კავკასიის ღვინო, როგორც საქონელი, რიგიანად და კარგის თვისებისა იქნეს დაყენებული, რომ კიდევ უფრო და უფრო გააფართოვოს თვისი ბაზარი რუსეთში და მოსალოდნელი კონკურენცია გაუწიოს სხვა ქვეყნის ღვინოებს. დანარჩენი წინადადებანი ბ-ნ ტიმოფეევის და ყიფიანისა, როგორც გუშინ გვქონდა აღნიშნული, ისე შეუცვლელად მიიღო კრებამ.

დასასრულ კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო—სამის წლის განმავლობაში უბაჟოდ იქმნას შემოტანილი კავკასიაში ყველის იარაღი და მასალა, რომელიც საჭიროა ვაზის წამლობისათვის და ამიტომ საჭიროა კომისიის არჩევა, რომელმაც უნდა შეადგინოს სია ამ იარაღ-მასალისა. კრებამ კომისიაში აირჩია: ბ.ბ. სარაჯევი, საგათელოვი, რადულოვიჩი, საკოვი, კამენეცკი და გინცბერგერი.

პროვინცია

ქ. თელავი. წელს თელავის მაზრაში უკვე და ჭირნახულის მოსავალს ხილის მოსავალმა გადააჭარბა. ყოველ სოფელში იმდენი ხილი მოვიდა, რომ მცხოვრებთ დაკრეფაც კი ეძნელებოდათ. რაც ხირად შეიძლებოდა გახმობა, მაგ. ქლიავი, ალუბალი, ღეღვი, ატამი, ვაშლი და

სხვა, ჩირად შეინახეს და ამას გარდა გარედაც დაუწყეს ზიდვა გასასყიდად, რაც იშვიათია ხოლმე, რადგან მაზრაში ხილის მოშენება-მოვლას არ მისდევენ. მაგრამ უგზოობისა გამო შორს ვერსად გააქვთ, რკინის გზა არ არის და ისე კიდევ მრიელ ძვირად უჯდებათ, ამიტომ გლეხი-კაცი იძულებული ხდება, როგორც თავისი ყოველივე სიკეთე, ისევ ჩარჩს ჩაუგდოს ხელში ჩალის ფასად, რომელსაც გამოაქვს თელავში ან ჰგზავნის ტფილისში და კარგ ფასად ასაღებს.

როგორც სოფლის მცხოვრებთ, ისე ზაქათალის ოლქიდამ ლეკებსაც შემოაქვთ ხილი და სხვა-და-სხვა სანოვაგე. სწორედ ამისათვის წელს, წარსულ წლებთან შედარებით, იაფად იყიდება. წინედ თუ 1 ფუთი ვაშლი 1 მ. 20 კა.,—1 მ. 60 კ. იყიდებოდა, ეხლა 40—50 კაპ. იყიდება, თუ რომ თელაველ ჩარჩ-ვაჭრებს არ ჩაუვარდათ ხელში, რაც ხშირადა ხდება ხოლმე. ამათგან კი თელავის მცხოვრებნი იძულებულნი ხდებიან იყიდონ მეტ ფასად. მართალია, თელავის თვით-მართველობას დრო აქვს დანიშნული, როდემდისაც მათ არა აქვთ ნება ვაჭრობისა, მაგრამ ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. როცა თელავში შემოაქვთ ხილი ან სხვა სანოვაგე, თელაველი ჩარჩ-ვაჭრები გზაშივე ყიდულობენ მათგან ერთიანად ან საუკეთესო ნაწილს საქონლისას. თუ შეუტყეს მას ასეთი საქციელი, ის მაშინვე დასდებს საქონელს სასწორზე, ვითომ და გასასყიდად და ერთორად დააფასებს, ხოლო თორმეტი საათის შემდეგ კი თავისუფლად მიაქვს შინ. ხშირად ასედაც მოხდება ხოლმე, რომ ზედ სასწორზედვე ყიდულობენ და მაშინვე მიაქვთ, რაც ძრიელ აკრძალულია, მაგრამ ვინაა დამშლელი და ისინიც ასე თავისუფლად იქცევიან. საჭიროა თელავის პატრონ-მამებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და სასტიკად აუკრძალონ მათ ასეთი თავისუფალი საქციელი.

დიმიტრაშვილი

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

20 ოქტომბერი

პეტერბურგი. იმპერატორ ალექსანდრე III საფლავზე, პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში სახახლის სამღვდელოებამ 20 ოქტომბერს პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდს დაესწრნენ: დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასული ვაჟი-შვილით, დიდი მთავარი სერგი მიხეილის ძე და მეკლენბურგ-სტრელიცკის ჰერცოგები გიორგი გიორგის ძე და მიხეილ გიორგის ძე.

მოსკოვსა, ოდესასა, ჩერნიგოვსა, ნოვგოროდსა, ტამბოვსა და გროდნოშიაც გადაუხდიათ პანაშვიდები იმპერატორ ალექსანდრე III სულის მოსახსენებლად.

ჩისტოპოლი. 10 გრადუსი სიცივეა. მდინარე კამაზე გემთა მიმოსვლა შედგა.

ტიუმენი. თოვლი მოვიდა. 5 გრადუსი სიცივეა.

ჩიტა. კაადალოვის რკინის გზის ტოტზე რომ უბედურება მოხდა, 5 ვაგონი დამტვრეულა. ერთი გლეხი მომკვდარა, 16 დაშავებულა, ამათში ორი კაცი ძლიერაა დაშავებული.

მოსკოვი. ექიმთა გამომცდელმა კომისიამ 114 კაცს მისცა ექიმის მოწმობა, ამათგან 12 კაცი ჯილდოს მიცემის ღირსადა სცნეს; 83-ს მკურნალის ხარისხი მისცეს; გარეშე პირთაგან 18-მა დაიჭირა ეკზამენი, ამათში 12 ქალი იყო საზღვარ-გარეთ უნივერსიტეტებში კურს დამთავრებული; 45 ურიამაც დაამთავრა სწავლა.

კრონშტატი. ზღვის ღელვის დროს რომ ტალღამ გემი მოიტაცა, ეს გემი კრონშტატში მოიტანეს. ამ გემზე ნამყოფი 4 კაცი კრონშტატიდან 40 ვერსის მანძილზე იპოვეს.

ვენა. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე 18 ოქტომბერს ბუდა-პეშტიდან მოვიდა და პირდაპირ რუსეთის საელჩოსკენ გაემართა. შემდეგ დიდი მთავარი მე-26 ქვეითა პოლკის კაზარმებში წავიდა და ეს პოლკი დაათვალიერა. დიდი მთავარი ამ პოლკის შეფადაა დანიშნული. კაზარმიდან დიდი მთავარი საბერძნეთის მეფის სანახავად წავიდა და იქიდან ისევ რუსეთის საელჩოში დაბრუნდა. საღამოს 7 საათზე რუსეთის საელჩოში სადილი გამართეს. სადილს დაესწრნენ: რუსეთის საელჩოსა და საკონსულოს მოსამსახურეები, ავსტრიიის სამხედრო მინისტრი კრიგგამერი, უმთავრეს შტაბის უფროსი ბეკი, მე-26 პოლკის ოფიცრები და დიდი მთავრის ამალა. სადილის დროს დიდს მთავარს თავისი მე-26 პოლკის მუნდირი ეცვა. საღამოს 9 ს. და 30 წ. მისი უმაღლესობა დრეზდენში წავიდა.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდან 17 ოქტომბრის რიცხვით: „ეს არის გავიგე, რომ პოლკოვნიკ ბენსონის რაზმის უკანა ჯარს, ბეტელის ჩრდილოეთ-დასავლეთით, 20 მილის მანძილზე, ბერლეპლაგტეს ახლო ბურები დასცემიან. დიდი ნისლი იდგა, თურმე, ამიტომ ბურებს—1000 კაცამდე ყოფილიყვნენ—უკანა ჯარისათვის 2 ზარბაზანი წაერთმიათ, მაგრამ ის კი აღარ ვიცი, მოასწრეს ამ ზარბაზნების წაღება, თუ ვერა. ვფიქრობ, რომ დიდი ზარალი მოგვივიდოდა. ბენსონი ჭრილობისაგან გარდაიცვალა. მაშველი ჯარი გავგზავნე; ეს ჯარი დღეს დილით მივა ბენსონის რაზმთან“.

ლონდონი. კიტჩენერის მეორე დეპეშა 19 ოქტომბრიდან: „პოლკოვნიკი ბარტერი დღეს დილით ადრე ბენსონის კალონას შეუერთდა. ბურებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ბა ტერი მატყობინებს: ბენსონს გარდა, ბურებს კიდევ 8 ოფიცერი მოუკლავთ და 13 დაუჭრიათ; თითქმის ყველანი მძიმედ არიან დაჭრილნი; 58 ჯარის-კაცი მოუკლავთ და 166 დაუჭრიათ. მგონია, რომ ორივე ზარბაზანი უკან წაურთმევიათ და ბურებს უკან დაუხევნიათ. ბარტერი მატყობინებს, ბურები ძლიერ ახლო მოვიდნენ მოწინავე ჯართან, ორივე მხარე, ინგლისელებიც და ბურებიც, დიდის თავგანწირვით იბრძოდნენ. ბურები აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ“.

პარიზი. იმპერატორის ალექსანდრე III გარდაცვალების დღეს, რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს. წირვას დაესწრნენ: რესპუბლიკის პრეზიდენტის, გარეშე საქმეთა და საზღვაო მინისტრების წარმომადგენელნი, საელჩოს ყველა წევრები და პარიზში მყოფი გამოჩენილი რუსები.

პარიზი. გაზეთები სულ სხვა და სხვა აზრს გამოსთქვამენ იმის შესახებ, თუ ოსმალეთის ზღვის რომელ ადგილს უნდა მოახდინოს ფლოტმა დემონსტრაციაო. „ეხო დე პარი“ ამბობს: ერთ-ერთ კუნძულებს დაიჭერენო.

ნიზორგი. რუსეთის ჯავშნიანი გემი „პერესვეტი“ ლანგელანდის კუნძულს ახლო თხელ წყალში გარიყა. გემები დაიბარეს საშველად.

კოპენჰაგენი. „პერესვეტი“ კილიდან მოდიოდა. დანიის სამი გემი გაგზავნეს კიდეც საშველად. ჯავშნიანი გემის უფროსი თხოულობს, კიდევ რამდენიმე გემი მომაშველეთო.

პეკინი. ევროპის ექიმებმა გამოაცხადეს, ლიხუნგჩანგი მეტად შეწუხებულია ავადმყოფობისაგანაო; ორი დღეა რაც ფილტვებიდან სისხლი სდისო.

ნიბორგი. ჯავშნიან გემს „პერესვეტს“ უშველეს; დღეს აქ მოვიდა ეს გემი.

ვილნო. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე აქ მოვიდა.

ვარშავა. 19 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრი მოვიდა და აქაურ გენერალ-გუბერნატორთან ჩამოხტა. გენერალ-გუბერნატორი სადგურზე მიეგება მინისტრს.

პარიზი. დელკასე დღეს დილით ლუბესა და ვალდეკ-რუსოს ელაპარაკა და საფრანგეთ-ოსმალეთის საქმე დაწვრილებით აუხსნათ. ლანესანიც დილით ვალდეკ-რუსოს ეთათბირა. კონსტანტინეპოლიდან დეპეშა მოვიდა. დეპეშაში სწერია, საფრანგეთმა გემთა დივიზიაც რომ გამოგზავნოს ოსმალეთის ზღვაში, ისიც კი საკმარისი იქნებაო: ოსმალეთი გაიგებს, რომ ლაპარაკის დრო გათავდა და საფრანგეთის მთავრობას მტკიცედ გადაუწყვეტია ოსმალეთს ძალა დაატანოს და თავისი პირობები შეასრულებინოს. ოსმალეთის მთავრობამ, გაიგო თუ არა, რომ საფრანგეთი გემებს გზავნისო, მაშინვე დეპეშით შეატყობინა დელკასეს: ლორანდოს მოთხოვნილებაც იმნაირადვე შევასრულეთ, როგორც წინად ტუბინის მოთხოვნილება იყო შესრულებულიო. ამბობენ, ხონთქარმა ბძანება გამოსცა, ლორანდოს იმდენი ფული უნდა მიეცეს, რამდენსაც საფრანგეთი ანგარიშობსო. ეხლა ის და აკლია, რომ ოსმალეთმა ამ ვალის გადახდა უზრუნველ ჰყოს. მაგრამ ამ ჟამად კალიარის დივიზია გზაშია და საფრანგეთის მთავრობა უკან არ დააბრუნებს, თუ ოსმალეთმა ცალიერ დაპირების გარდა, კიდევ სხვანაირადაც არ დააკმაყოფილა ოსმალეთი, მით უმეტეს, რომ ოსმალეთი იშვიათად აასრულებს თავის დაპირებას და ლორანდოს საქმის გარდა, საფრანგეთს კიდევ სხვა ბევრი საქმე აქვს ოსმალეთთან. ამბობენ, მთავრობა ისარგებლებს იმ დროთი, სანამ საფრანგეთის ესკადრა ოსმალეთის ზღვაში იდგება და ოსმალეთი წყლის სანაპიროებისა და ლორანდოს საქმეს მოაწყობსო. რასაკვირველია, აღმოსავლეთის საქმეზე და რაიმე ადგილების ჩამორთმევაზე აქ ლაპარაკიც კი არ შეიძლება. საფრანგეთს მარტო ის სწადიან, რომ ოსმალეთი მისი უფლებისა და ღირსების წინააღმდეგ არ იქცეოდეს, ისე, როგორც, მაგალითად, მაშინ მოქცა, როცა სადიპლომატიო წერილების ყუთი გახნა.

ჰააგა. ფიშერი, ვოლმარანსი, ვესელსი და ვოეშოტენი დღეს წავიდნენ ჰილვერსენში, სადაც გუშინდელს აქეთ ლეიდსი იმყოფება; დღეს კრიუგერთან ითათბირეს.

21 ოქტომბერი

მოსკოვი. პორუჩიკმა ერემეევმა შესწირა იმპერატორის ალექსანდრე მესამის სახელობის საავადმყოფოს, აკკერმანის მაზრაში, ხუთი დესეტინა მიწა და სურვილი გამოაცხადა აავოს ყველა საჭირო შენობა საავადმყოფოსათვის.

პარიზი. სულთანი დეპეშით ჰპირდება საფრანგეთის მთავრობას აასრულოს საფრანგეთის ყველა მოთხოვნა, რათა ამით უკანვე დააბრუნებიოს საფრანგეთს ოსმალეთისაკენ გაგზავნილი ფლოტი. საფრანგეთის ესკადრა განაგრძობს თავის გზას ოსმალეთისაკენ. საფრანგეთ-ოსმალეთის კონფლიკტს საფრანგეთის მთავრობა საერთა-შორისო უფლების დარღვევად სთვლის ოსმალეთის მხრით. რესპუბლიკის მთავრობა, გარდა საფინანსო დაკმაყოფილებისა, მოითხოვს ოსმალეთისაგან ზნეობრივ დაკმაყოფილებას და ამასთანავე გარანტიას, რომ შემდეგში ოსმალეთის მთავრობა აღარ დაარღვევს არსებულ კანონებს. სხვა ახალ მოთხოვნას საფრანგეთი აღარ წარუდგენს ოსმალეთს.

ხრისტიანია. გაზეთ „ავტენ-პოსტენ“-ის სიტყვით, მზადდება ახალი ექსპედიცია ჩრდილოეთის სამეცნიერო გამოკვლევისათვის. ექსპედიციის სათავეში დადგება ფლოტის ოფიცრად ნამყოფი ამუნდსენი.

ლონდონი. სამხედრო სამინისტრო იტყობინება, რომ ბერლეპლაგტესთან (ბერკენლააგტესთან?) მომხდარ ბრძოლის დროს კიდევ ორი ოფიცერი იქმნა მოკლული; გარდა ამისა, ერთი დაჭრილი ოფიცერი მოკვდა და ორიც სხვა ოფიცერია დაჭრილი.

ლონდონი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის საელჩოს მდივანი დილას დელკასესთან იყო და ოფიციალურად გამოუცხადა მას, რომ სულთანი დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებს ლორანდოს მოთხოვნას და სხვათაც, თუ საფრანგეთი უკანვე დააბრუნებს ესკადრას. მაშინ დელკასემ წინადადება მისცა საელჩოს წევრს ბაპსტს დაეკითხოს სულთანს იმის შესახებ, თუ რა გარანტიებს იძლევა ოსმალეთის მთავრობა, რომ დაპირებას აასრულებს. ამ საქმის დასრულება ეხლა სულთანისაგან არის დამოკიდებული. ნაკლები იმედი აქვთ იმისა, რომ სულთანი დროზე დააკმაყოფილებს დელკასეს და ამიტომ უკანასკნელი ვეღარ მოასწრებს დაიბრუნოს ინსტრუქციები, რომელიც ადმირალს კალიარს მისცა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 20 ოქტომბერს დილით 10 გრადუსი ყინვა იყო. ვოლგაზე ზოგან ყინული მოდის.

ხერსონი. ანანიევის მაზრის სოფელ სტავროვის ახლო, ღრმა ხრამში, იპოვეს უზარმაზარი მხეცის ჩონჩხი. კბილი, ყბის ნაწილი და ძვლის ნამტვრევები წარედგინა ხერსონის საარქეოლოგიო მუზეუმს.

თოვლი მოვიდა და დადნა კიდევაც.

პეტერბურგის ბირჟა 19 ოქტომბერს

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,70
ბერლინზე 100 მარკაში	45,95
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე „	46,30
პრიზზე „	37,55
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	454 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	342 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	242 „
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	89⅝
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი
ხლ. ჭუჯინაა.
გამომცემელი
ხლ. ჯაბადარი

განცხადებანი

ცინკოგრაფია
წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.
(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—33)

ისტორიული თხზულება (რუსულად)
ზ. ავალიშვილისა
საქართველოს შეერთება რუსეთთან
ფასი 1 მან. 50 კაპ.
გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ. ხიდდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
ისყიდება თარგმანები
ივ. მაჭავარიანისა:
გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . . ფასი 2 40
ბრჭყალები, დრამა 3 მოქ. „ — 30
იუდითი, დრამა 5 მოქმედ. „ — 30
ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „ — 50

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Октября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.